



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	რომანული ფილოლოგია Romance Philology სამაგისტრო პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს ოთხ სასპეციალიზაციო მოდულს: • ფრანგული თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერება • ფრანგული და კომპარატიული ლიტერატურა • იტალიური ენა და ლიტერატურა • ესპანური ენა და ლიტერატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	სამაგისტრო პროგრამის პირველი ნაწილი: 60 ECTS კრედიტი ფრანგული ფილოლოგიის მაგისტრი / იტალიური ფილოლოგიის მაგისტრი / ესპანური ფილოლოგიის მაგისტრი Master of French Philology; Master of Spanish Philology; Master of Italian Philology სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილი: 60 ECTS კრედიტი კვლევის მაგისტრი ფრანგულ ფილოლოგიაში / კვლევის მაგისტრი იტალიურ ფილოლოგიაში / კვლევის მაგისტრი ესპანურ ფილოლოგიაში Master of Research in French Philology; Master of Research in Spanish Philology; Master of Research in Italian Philology
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	სამაგისტრო პროგრამის პირველი ნაწილი: 60 ECTS კრედიტი • რომანული ფილოლოგიის პროგრამის საერთო სავალდებულო დისციპლინები - 15 ECTS კრედიტი; მოდულის სავალდებულო დისციპლინები: • ფრანგული თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერება - 25 ECTS კრედიტი; • ფრანგული და კომპარატიული ლიტერატურა - 30 ECTS კრედიტი; • ესპანური ენა და ლიტერატურა - 25 ECTS კრედიტი • იტალიური ენა და ლიტერატურა - 30 ECTS კრედიტი; არჩევითი დისციპლინები: • ფრანგული თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერება - 20 ECTS კრედიტი; • ფრანგული და კომპარატიული ლიტერატურა - 15 ECTS კრედიტი; • ესპანური ენა და ლიტერატურა - 20 ECTS კრედიტი • იტალიური ენა და ლიტერატურა - 15 ECTS კრედიტი; მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 60 ECTS სასწავლო კრედიტის დაგროვება. სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილი: 60 ECTS კრედიტი • რომანული ფილოლოგიის პროგრამის საერთო სავალდებულო დისციპლინები - 5 ECTS კრედიტი; მოდულის სავალდებულო დისციპლინები:



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	• ფრანგული თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერება - 15 ECTS კრედიტი; • ფრანგული და კომპარატისტული ლიტერატურა - 10 ECTS კრედიტი; • ესპანური ენა და ლიტერატურა - 15 ECTS კრედიტი • იტალიური ენა და ლიტერატურა - 10 ECTS კრედიტი; არჩევითი დისციპლინები: • ფრანგული თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერება - 10 ECTS კრედიტი; • ფრანგული და კომპარატისტული ლიტერატურა - 15 ECTS კრედიტი; • ესპანური ენა და ლიტერატურა - 10 ECTS კრედიტი • იტალიური ენა და ლიტერატურა - 15 ECTS კრედიტი; სამაგისტრო ნაშრომი - 30 ECTS კრედიტი კვლევის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 60 ECTS კრედიტის დაგროვება და პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტის (30+30 ECTS კრედიტი) შესრულება.
სწავლების ენა	ქართული ენა
პროგრამის ხელმძღვანელი/ ხელმძღვანელები/ კოორდინატორი	სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი ბელა ხაბეიშვილი მოდულის ხელმძღვანელები: ფრანგული თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების მოდულის ხელმძღვანელი - პროფესორი ბელა ხაბეიშვილი ფრანგული და კომპარატისტული ლიტერატურის მოდულის ხელმძღვანელი - პროფესორი ბელა ხაბეიშვილი იტალიური ენისა და ლიტერატურის მოდულის - ასოცირებული პროფესორი მაია ჯავახიძე ესპანური ენისა და ლიტერატურის მოდულის - ასოცირებული პროფესორი მარინე კობეშავიძე
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის I ნაწილზე (60 კრედიტი) სწავლის წინაპირობაა: ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი სწავლის ფართო სფეროებში: 1. ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები; 2. სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია; 3. განათლება; 4. ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი. პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ასევე ბაკალავრს, რომელსაც გავლილი აქვს დამატებითი (minor) პროგრამა ფრანგულ ფილოლოგიაში/იტალიურ ფილოლოგიაში/ იტალიანისტიკაში, ესპანურ ფილოლოგიაში/ ესპანისტიკაში. • საერთო სამაგისტრო გამოცდა; • უცხოური ენის ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით: ფრანგული ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის მოდულებზე ჩაბარების მსურველებმა უნდა დაადასტურონ ფრანგული ენის



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	ცოდნა B2 დონეზე, ხოლო იტალიური ან ესპანური ფილოლოგიის მოდულზე ჩაბარების მსურველებმა - ინგლისური/ გერმანული/ ფრანგული ენის ცოდნა B1 დონეზე, სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით. გამოცდა სპეციალობაში: ფრანგულ/იტალიურ /ესპანურ ენასა და ლიტერატურაში. (იტალიური ენისა და ლიტერატურის და ესპანური ენისა და ლიტერატურის მოდულებზე სპეციალობის საგამოცდო პროგრამა ამოწმებს ესპანური და იტალიური ენების ფლობის B2 დონეს). მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის II ნაწილზე (60 კრედიტი) სწავლის გაგრძელების უფლება აქვს პროგრამის პირველი ნაწილის კურსდამთავრებულ მოდულების შესაბამისად ფრანგული ფილოლოგიის მაგისტრის / იტალიური ფილოლოგიის მაგისტრის / ესპანური ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის II ნაწილზე სწავლის გაგრძელების დამატებითი პირობები განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დებულებით, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიღება ერთიანი სამაგისტრო გამოცდის გარეშე ხდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, რაც გულისხმობს ქართულენოვან პროგრამებზე ქართულის, როგორც უცხო/მეორე ენის ფლობის B2 დონის დადასტურებას გამოცდით.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის პირველი ნაწილის მიზანია: რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის საერთო მიზნები: 1. მაგისტრი აღჭურვოს ფილოლოგიის დარგში ღრმა და სისტემური ცოდნით, შესძინოს მას ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი კომპეტენციები; 2. აღჭურვოს მაგისტრი თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი მთარგმნელობითი სფეროს კომპეტენციებით; განუვითაროს, როგორც ლინგვისტური (ზეპირი, წერიტი), ასევე ლიტერატურული ტექსტების თარგმნის უნარები; 3. განუვითაროს კრიტიკული აზროვნების და ანალიზის უნარი, როგორც ლინგვისტური, ლიტერატურათმცოდნეობითი, თარგმანის შეფასებისა და კრიტიკის მიმართულებით. 4. ტრადიციულ და უახლეს სამეცნიერო-მეთოდოლოგიურ ნაშრომებზე დაყრდნობით, მოამზადოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტი კულტურის, განათლების, მედიის, საგამომცემლო, მთარგმნელობითი და საერთაშორისო კომუნიკაციის სფეროებში პროფესიული საქმიანობისთვის და ასევე, სურვილის შემთხვევაში,



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	უზრუნველყოს მისი მზადყოფნა რომანული ფილოლოგიის კვლევებზე ორიენტირებულ სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილის საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად.“ 5. ჩამოუყალიბოს დამოუკიდებელი სწავლისა და პროფესიული განვითარების უნარი. I მოდულის - ფრანგული გამოყენებითი და თეორიული ენათმეცნიერების - მიზანია: 1. მოამზადოს ფრანგული ენის სპეციალისტი, რომელიც აღჭურვილია გამოყენებითი და თეორიული ენათმეცნიერების სფეროს დარგობრივი კომპეტენციებით, თეორიული ცოდნის გაანალიზებისა და პრაქტიკაში გამოყენების უნარებით, .რაც მას ეროვნულ და საერთაშორისო შრომით ბაზარზე კონკურენტული ოპერირებისა და სამაგისტრო პროგრამის მეორე, კვლევით ნაწილზე სწავლის გაგრძელების საშუალებას მისცემს. 2. აღჭურვოს ფრანგულ ენაზე ზეპირი და წერითი კომუნიკაციის უნარებით C1 დონეზე უცხოური ენების სწავლის, სწავლებისა და შეფასების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მიხედვით; ასწავლოს ლინგვისტური ცოდნის გამოყენება ახალ, გაუთვალისწინებელ გარემოში, (მომიჯნავე) მულტიდისციპლინურ კონტექსტში, უზრუნველყოს სასწავლო მასალის აღქმის, წერისა და მეტყველების უნარების სრულყოფა C1 დონეზე, რათა მაგისტრანტმა შეძლოს აღნიშნულ საკვალიფიკაციო დონეზე რთული უცხოენოვანი მასალის გაგება, დამუშავება, ანალიზი და მიღებული ცოდნის რეალიზაცია როგორც ქართულ ასევე უცხოურ შრომით ბაზარზე. 3. შესძინოს ფრანგულენოვანი დარგობრივი ტერმინოლოგიის შესაბამისი ცოდნა თანამედროვე ბაზარზე ყველაზე მოთხოვნიდი მიმართულებებით (პოლიტიკა, ეკონომიკა, კონფლიქტოლოგია, მარკეტინგი, ხელოვნება, ტურიზმი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მიმართულებები); 4. შესძინოს საკომუნიკაციო და ანალიტიკური კომპეტენციები მთარგმნელობითი მიმართულებით ლინგვისტური ცოდნის პრაქტიკაში რეალიზაციის მიზნით (წერითი თარგმანი, თანმიმდევრული ზეპირი თარგმანი, საქმიანი კორესპონდენციის სფერო, პრესის თარგმანი, საკონფერენციო თარგმანი). II მოდულის - ფრანგული და კომპარატისტული ლიტერატურის - მიზნებია: 1. სტუდენტს შეასწავლოს ფრანგული და კომპარატისტული ლიტერატურის ისტორიისა და თეორიის, სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურული ტექსტების, თარგმნის ისტორიისა და კრიტიკის უახლესი მიღწევები; 2. სტუდენტს გამოუმუშავოს ლიტერატურული ტექსტების სიღრმისეული და კომპარატივისტული ანალიზის, მასალის სინთეზის, ინტერპრეტაციის და თარგმანის უნარები ინტერკულტურული და საერთაშორისო ლიტერატურული
--	--



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	კომუნიკაციის უზრუნველყოფის მიზნით. 3. მოამზადოს თეორიული და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი სტუდენტი, რომელიც შესაძლებელია დასაქმდეს ისეთ სფეროებში, როგორიცაა: კულტურის სფერო, კერძო და საჯარო სამსახურები, საგამომცემლო საქმე (საგამომცემლო პროექტის ხელმძღვანელი, კორექტორი, სტილისტი, რედაქტორი), მთარგმნელობითი საქმიანობა/ თარგმანის კრიტიკა (მხატვრული ტექსტის მთარგმნელი, თარგმნის ექსპერტი); III მოდულის - ესპანური ენისა და ლიტერატურის - მიზანია: 1. სტუდენტს მისცეს ესპანური ფილოლოგიის დარგობრივი სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა; დაანახოს ესპანური ფილოლოგიის დარგის მნიშვნელობა და ამოცანები, დარგობრივი სფეროს მთავარ პრინციპები, თეორიები და კონცეფციები; 2. სტუდენტს შეასწავლოს ესპანეთისა და ლათინური ამერიკის ესპანური ენის სისტემის ფუნქციონირების, თანამედროვე ესპანური ენის ლექსიკური შემადგენლობის, ლექსიკის სხვადასხვა შრეების ფუნქციონირების წესები; 3. სტუდენტს შესძინოს ესპანურენოვანი ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების ღრმა, სისტემური და საფუძვლიანი ცოდნა მათი ლინგვისტურ და სოციოკულტურულ კონტექსტში გააზრებით; 4. მოამზადოს მაგისტრი, რომელიც დაუფლებულია სასპეციალიზაციო ესპანურ ენას C1 დონეზე საერთო ევროპული სარეკომენდაციო საბჭოს მიერ შემუშავებული ენის ცოდნის დონეთა განმსაზღვრელი ჩარჩოს მიხედვით, რასაც იყენებს პროფესიული და აკადემიური კომუნიკაციის მიზნებისთვის IV მოდულის - იტალიური ენისა და ლიტერატურის - მიზანია: 1. მოამზადოს იტალიური ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი, რომელიც აღჭურვილია იმგვარი დარგობრივი კომპეტენციებითა და უნარებით, რომელიც უზრუნველყოფს მის შრომით ბაზარზე დასაქმებას, ან, სურვილის შემთხვევაში, სწავლის გაგრძელებას მაგისტრატურის მეორე საფეხურზე. 2. მოამზადოს მაგისტრანტი, რომელმაც იცის იტალიური ლიტერატურის მნიშვნელოვანი მიმდინარეობები და მათი საუკეთესო ნიმუშები, შეუძლია მათი ანალიზი და განხილვა მსოფლიო ისტორიულ-ლიტერატურულ კონტექსტში, 3. მოამზადოს მაგისტრი, რომელიც დაუფლებულია სასპეციალიზაციო იტალიურ ენას C1 დონეზე საერთო ევროპული სარეკომენდაციო საბჭოს მიერ შემუშავებული ენის ცოდნის დონეთა განმსაზღვრელი ჩარჩოს მიხედვით, რასაც იყენებს აკადემიური მიზნებისთვის. რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილის მიზანია რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის საერთო მიზნები: 1. მოამზადოს მაგისტრი რომანული ფილოლოგიის დარგში
--	---



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	კვლევებისათვის, შესძინოს ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტში აქტუალურ საკითხებზე კვლევის წარმოების შესაბამისი თეორიული და მეთოდოლოგიური ცოდნა და უნარები ბილინგვურ კონტექსტში მათი გათავისების, სასწავლო სამეცნიერო საზოგადოებისათვის გაზიარებისა და სურვილის შემთხვევაში მომდევნო სასწავლო საფეხურზე კვლევის განხორციელების მიზნით. 2. განუვითაროს კრიტიკული აზროვნების და ანალიზის უნარი, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში. ასწავლოს რთული კვლევითი პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის ახალი გზების ძიება; 3. განუვითაროს კვლევის შედეგების აკადემიური და პროფესიული საზოგადოებისთვის წარდგენის, სამეცნიერო კომუნიკაციისა (წერიტი და ზეპირი) და დარგობრივ დისკუსიებში მონაწილეობის უნარი 4. თანამედროვე, ევროპულ სამეცნიერო-მეთოდოლოგიურ ნაშრომებზე დაყრდნობით, მოამზადოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, როგორც შრომით ბაზარზე დასასაქმებლად, ასევე დოქტორანტურის საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად. I მოდულის - ფრანგული გამოყენებითი და თეორიული ენათმეცნიერების - მიზანია: 1. მისცეს მაგისტრანტს ღრმა და სისტემური ცოდნა ენათმეცნიერული კვლევის უახლესი მეთოდებში, ლინგვისტურ თეორიებში, კონცეფციებში; განუვითაროს თეორიული ცოდნის გაანალიზებისა და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში გამოყენების უნარი. 2. აღჭურვოს ფრანგულ ენაზე ზეპირი და წერიტი კომუნიკაციის უნარებით C1 დონეზე სამეცნიერო და კვლევითი მიზნებისათვის; უზრუნველყოს სამეცნიერო მასალის აღქმის, წერისა და მეტყველების უნარების სრულყოფა C1 დონეზე, რათა შეძლოს მიღებული ცოდნის რეალიზაცია როგორც ქართულ ასევე უცხოურ სამეცნიერო-კვლევით სივრცეში. 3. შეასწავლოს მაგისტრანტს ღირებულებათა საფუძველზე სამეცნიერო სივრცეში და შრომის ბაზრისთვის აქტუალური კონკრეტული თეორიული თუ პრაქტიკული პრობლემის გადაჭრის ახალი ორიგინალური გზების მოძიება; სამაგისტრო ნაშრომის მოთხოვნათა შესაბამისობაში კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით. II მოდულის - ფრანგული და კომპარატიული ლიტერატურის - მიზნებია: 1. სტუდენტს შეასწავლოს ფრანგული და კომპარატიული ლიტერატურის ისტორიისა და თეორიის უახლესი კვლევის მეთოდები 2. სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურული ტექსტების
--	--



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	ინტერდისციპლინური და ინტერკულტურული მეთოდოლოგიები; 3. სტუდენტს გამოუმუშავოს ტექსტების ანალიზის, სინთეზისა და ინტერპრეტაციის უნარები ლიტერატურული კვლევის მეთოდების გამოყენებით; სტუდენტს მისცეს ლიტერატურის ტექსტების მიმართ კრიტიკული მიდგომისთვის საჭირო თეორიული და მეთოდოლოგიური საშუალებების ცოდნა; III მოდულის - ესპანური ფილოლოგიის - მიზანია: 1. სტუდენტს შესძინოს ესპანური ფილოლოგიის საენათმეცნიერო და ლიტერატურათმცოდნეობით სამეცნიერო აპარატი და დარგობრივ სფეროში მუშაობის უახლესი კვლევის მეთოდები; 2. სტუდენტს შეასწავლოს სხავადასხვა ტიპის ესპანურენოვანი ტექსტის ლინგვისტური ანალიზის თავისებურებები; 3. მოამზადოს მაგისტრი, რომელიც მიღებულ ღრმა ცოდნაზე დაყრდნობით შეიმუშავებს ახალ, ორიგინალურ იდეებს, გააცნობიერებს ცალკეულ, ესპანურენოვან ლიტერატურასთან დაკავშირებულ კონკრეტული პრობლემის გადაჭრის ორიგინალურ გზებს და შეძლებს მათი წვლილის შეფასებას დასავლეთ ევროპის ლიტერატურასთან მიმართებაში. IV მოდულის - იტალიური ენისა და ლიტერატურის - მიზანია: 1. მოამზადოს იტალიური ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი, რომელსაც აქვს ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი თეორიების სიღრმისეული ცოდნა, ასევე მათი განხილვისა და ანალიზის უნარი. 2. მოამზადოს მაგისტრანტი, რომელსაც შეუძლია იტალიური ენის თეორიულ და იტალიური ლიტერატურის სფეროში მიღებული ცოდნის საფუძველზე მოახდინოს საკვლევი საკითხის იდენტიფიცირება, აწარმოოს დამოუკიდებელი კვლევა და გააკეთოს შესაბამისი დასკვნები; შეიმუშაოს ახალი, ორიგინალური იდეები. 3. მოამზადოს პასუხისმგებლობით აღჭურვილი კურსდამთავრებული, რომელიც პატივს სცემს აკადემიური პატიოსნების სტანდარტებს, შეუძლია დამოუკიდებლად აწარმოოს კვლევა და პასუხისმგებლობა აიღოს სხვების პროფესიულ განვითარებაზე.
სწავლის შედეგები	ცოდნა და გაცნობიერება: რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის პირველი ნაწილის კურსდამთავრებული 1. ფლობს, პროგრამის თითოეული მოდულის შესაბამისად, ფრანგულ/ ესპანურ/ იტალიურ ენას სწავლის, სწავლებისა და შეფასების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს C1 დონეზე, რაც ნიშნავს, რომ დამოუკიდებლად ოპერირებს შესაბამის დონეზე პროფესიულ საქმიანობაში ზეპირი და წერიტი კომუნიკაციის კონტექსტში; 2. აღწერს და შედარებით ტიპოლოგიური ჭრილში აანალიზებს



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	რომანულ ენათა ჯგუფის საერთო სტრუქტურულ მახასიათებელთა სისტემატიზაციის პრინციპებს, რომანული და ქართული ენების ძირითად ლინგვისტურ პროცესებს, ლინგვისტური სტრუქტურების ურთიერთზეგავლენას; 3. სიღრმისეულად და სისტემურად განსაზღვრავს რომანული ენების სოციოლინგვისტურ ასპექტებს; აღწერს სოციალური ფაქტორების გავლენას ენაზე, ეთნოსოციოლოგიური მიდგომის ზოგად კონცეფციებს, სოციალურ დიალექტოლოგიასთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებს. 4. კურიკულუმით გათვალისწინებული საენათმეცნიერო და ლიტერატურათმცოდნეობითი თეორიული და პრაქტიკული სასწავლო დისციპლინების შესწავლის საფუძველზე, აქვს ფილოლოგიის დარგობრივი სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელსაც იყენებს თანამედროვე შრომითი ბაზრის მოთხოვნათა შესაბამისად. ფრანგული გამოყენებითი და თეორიული ენათმეცნიერების მოდული: 5. აცნობიერებს ფრანგული ენათმეცნიერების ძირითად თეორიებსა და მიდგომებს, კრიტიკულად იაზრებს დარგის თანამედროვე ტენდენციებს. 6. საფუძვლიანად იცნობს თარგმანმცოდნეობის ლინგვისტურ თეორიებს, თანმიმდევრული და სინქრონული თარგმანის თეორიულ პრინციპებს. აცნობიერებს დარგობრივ და ზოგადლინგვისტურ ცოდნის მნიშვნელობას მთარგმნელობით კონტექსტში; 7. ასახელებს და ახასიათებს სხვადასხვა თემატური ჩარჩოს (პოლიტიკა, იურისდიქცია, ეკონომიკა, კონფლიქტოლოგია, მარკეტინგი, ტურიზმი, ხელოვნება და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მიმართულებები) მყარ ლექსიკურ შესიტყვებებსა და კონსტრუქციებს; მათი ლექსიკო-სემანტიკური ანალიზისა და ინტერპრეტაციის მეთოდებს; იცის ლექსიკოლოგიურ-ლექსიკოგრაფიული ბაზის შემუშავების პრინციპები ქართული ექვივალენტური ანალოგების შემუშავების მიზნით. ფრანგული და კომპარატისტული ლიტერატურის მოდული: 8. ინტერდისციპლინური კურსებიდან შეძენილი ცოდნის საფუძველზე, განსაზღვრავს, აღწერს და მიმოიხილავს ლიტერატურისმცოდნეობით საკითხებთან დაკავშირებულ საკვანძო და აქტუალურ თემებს და პრობლემატიკას; აცნობიერებს ფრანგული ლიტერატურათმცოდნეობის ძირითად თეორიებსა და მიდგომებს, კრიტიკულად იაზრებს დარგის თანამედროვე ტენდენციებს. 9. აანალიზებს და კომპარატისტულ ჭრილში მიმოიხილავს ლიტერატურულ ტექსტებს შორის არსებულ ისტორიულ და თემატურ კავშირებს; შეძენილი ცოდნისა და კომპეტენციების საფუძველზე აცნობიერებს ევროპული ლიტერატურის გავლენას
--	--



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	ქართულ ლიტერატურულ პროცესებზე და მის მნიშვნელობას მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში. 10. მხატვრული თარგმანის ისტორიის, თეორიისა და კრიტიკის ღრმა და სისტემური ცოდნის საფუძველზე აცნობიერებს და აანალიზებს თარგმანის ღირებულებას ორიგინალური ტექსტთან მიმართებაში. იტალიური ენისა და ლიტერატურის მოდული 11. აცნობიერებს იტალიური ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის ძირითად თეორიებსა და მიდგომებს, კრიტიკულად იაზრებს დარგის თანამედროვე ტენდენციებს. 12. ამოიცნობს და ახასიათებს დარგობრივი ტექსტების სპეციფიკურ ლექსიკას, გრამატიკულ მახასიათებლებს იურიდიული და ეკონომიკური ხასიათის წერილობით და ზეპირ დოკუმენტებში; აცნობიერებს მათ მნიშვნელობას იტალიურიდან ქართულ ენაზე და პირიქით თარგმნის პროცესში. 13. მიმოიხილავს იტალიის XVIII-XX საუკუნეების ისეთ ლიტერატურულ მოვლენებს, როგორიცაა: მაგიური რეალიზმი, რომანტიზმი, ნეორეალიზმი. ავლენს აღნიშნული ლიტერატურული პროცესებისა და ნაწარმოებების საკვანძო პრობლემატიკის კვლევის, ანალიზისა და შეფასების სისტემურ ცოდნას თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობითი მეთოდებისა და თეორიული მიდგომების შესაბამისად. აცნობიერებს მათ იდეურ მიზანდასახულობას, მათთვის ნიშანდობლივი თემებისა და მოტივების საშუალებით თანამედროვეობის აქტუალური სოციალური, პოლიტიკური და ეთიკური პრობლემატიკის ასახვისა და განსჯის სპეციფიკას. ესპანური ენისა და ლიტერატურის მოდული 14. სტუდენტი მიმოიხილავს აღორძინებისა და ბაროკოს, XX საუკუნის პირველი ნახევრის ეპოქების ესპანეთში მიმდინარე ისტორიულ და კულტურულ პროცესებს, ამოიცნობს და აანალიზებს ესპანურენოვან ლიტერატურულ მიმდინარეობებსა და სტილებს მათი მახასიათებლებითა და ავტორებით; აანალიზებს ესპანურენოვან ლიტერატურულ ტექსტებს როგორც ესპანეთის ისტორიულ ჭრილში, ასევე დასავლური ლიტერატურის ისტორიის კონტექსტში. 15. განსაზღვრავს, აღწერს და გამოყოფს ესპანეთისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების ენის სახასიათო და კასტილიურიდან განსხვავებულ ელემენტებს. 16. აცნობიერებს იტალიური ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის ძირითად თეორიებსა და მიდგომებს, კრიტიკულად იაზრებს დარგის თანამედროვე ტენდენციებს. უნარი: 17. ფრანგული/ესპანური/იტალიური ფილოლოგიის მაგისტრი პროგრამით მიღებული შესაბამისი ღრმა და სისტემური ცოდნის საფუძველზე ამოიცნობს და გადაჭრის ზოგადად რომანული ფილოლოგიის და კერძოდ, ფრანგული/იტალიური/ესპანური ფილოლოგიის კომპლექსურ პრობლემებს, რომლებიც ეხება
--	---



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	ენათმეცნიერების, ლიტერატურათმცოდნეობის და მთარგმნელობით საკითხებს. 18. ფრანგული/ესპანური/იტალიური ფილოლოგიის მაგისტრი პრაქტიკულად იყენებს შესაბამის სასპეციალიზაციო ენას C1 დონეზე წერილობითი და ზეპირმეტყველების შესაბამისი მიზნებისათვის; აქვს საუბრის თავისუფლად წარმართვის უნარ-ჩვევები, სხვადასხვა ტიპის ტექსტების, დარგობრივი და სამეცნიერო ლიტერატურის, წაკითხვის, მოსმენის, გაგების, თარგმნის, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და რეპროდუქციის უნარი; ეფექტურად იყენებს ამ ენებს პროფესიულ საქმიანობაში ან შემდგომი სწავლის პროცესში ფართო აკადემიური მიზნებისთვის. 19. ფრანგული/ესპანური/იტალიური ფილოლოგიის მაგისტრი აცნობიერებს პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი თეორიული და პრაქტიკული მასალის შესაბამისობას, ახდენს სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციის კრიტიკულ შეფასებასა და სინთეზს, 20. ფრანგული ფილოლოგიის მაგისტრი თარგმანმცოდნეობის ლინგვისტური და ლიტერატურულ თეორიული ცოდნის საფუძველზე თარგმნის მხატვრულ და სამეცნიერო ლიტერატურას, დარგობრივ დოკუმენტებს, დამოუკიდებლად წარმართავს ზეპირი და წერიტი თარგმნის პროცესს. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა: 21. ფრანგული/იტალიური/ ესპანური ფილოლოგიის მაგისტრი აცნობიერებს პროფესიულ და სოციალურ პასუხისმგებლობებს და იცავს სათანადო აკადემიურ ეთიკურ ნორმებს; 22. აფასებს კულტურულ განსხვავებებსა და მრავალფეროვნებას, რაც მას უვითარებს განსხვავებული კულტურისადმი პატივისცემას, ტოლერანტობის გრძნობას ინტერკულტურულ გარემოში. 23. აცნობიერებს სამაგისტრო საფეხურზე სწავლის პროცესის თავისებურებებს, მათი თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასების საფუძველზე ადგენს შემდგომი სწავლის და პროფესიული განვითარების საჭიროებებს. 24. ავლენს ნაცნობ და უცნობ (არაპროგნოზირებად), მათ შორის ინტერდისციპლინურ და ინტერკულტურულ გარემოში დროისა და შრომის ორგანიზების უნარს. რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილის კურსდამთავრებული ცოდნა და გაცნობიერება:
--	---



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	1. ფლობს, პროგრამის თითოეული მოდულის შესაბამისად, ფრანგულ/ ესპანურ/ იტალიურ ენას სწავლის, სწავლებისა და შეფასების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს C1 დონეზე, სამეცნიერო -კვლევით საქმიანობაში გამოყენების მიზნით. 2. ფართო ინტერდისციპლინარულ კონტექსტში, ლინგვისტურ და ლიტერატურულ მასალათა დამუშავებისა და ანალიზის საფუძველზე აღწერს და მიმოიხილავს, კონტრასტული და კომპარატიული კვლევის მეთოდოლოგიასა და პრინციპებს; საფუძვლიანად იცნობს ტექსტის კვლევის თეორიებსა და მეთოდებს, მათი გამოყენების გზებს ტექსტის ანალიზის პროცესში. კრიტიკულად აანალიზებს დარგის უახლეს სამეცნიერო მიღწევებს; აცნობიერებს თანამედროვე კვლევითი მეთოდოლოგიების შესაძლებლობებსა და შეზღუდვებს, ავითარებს ახალ და ორიგინალურ იდეებს კვლევითი პრობლემების გადასაჭრელად; 3. კურიკულუმით გათვალისწინებული საენათმეცნიერო და ლიტერატურათმცოდნეობითი თეორიული დისციპლინების შესწავლის საფუძველზე, აქვს ფილოლოგიის დარგობრივი სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელსაც იყენებს სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისა შესაბამისად. ფრანგული გამოყენებითი და თეორიული ენათმეცნიერების მოდული: 4. სიღრმისეულად აღწერს ფრანგული ენის თეორიულ ასპექტებს; განასხვავებს და აანალიზებს ენათმეცნიერების დარგში ფონოლოგიური, სოციო-ლინგვისტური, სემანტიკური, ფსიქოლინგვისტური, ტექსტის, დისკურსის კვლევის პრინციპებს; მიმოიხილავს და სასწავლო სამეცნიერო საზოგადოებას უზიარებსა აქტუალურ ენათმეცნიერულ მიდგომებსა და თეორიებს, სხვადასხვა მეთოდებს და კრიტიკულად იაზრებს მათი გამოყენების მნიშვნელობას თანამედროვე სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ინტერდისციპლინარ კონტექსტში; ფრანგული და კომპარატიული ლიტერატურის მოდული: 5. ლიტერატურული კვლევის უახლესი მეთოდებისა და თანამედროვე მიდგომების საფუძველზე სიღრმისეულად იკვლევს ფრანგულ ლიტერატურულ შემოქმედებას; აანალიზებს და კომპარატივისტულ ჭრილში მიმოიხილავს ლიტერატურულ ინსპირაციებს, გავლენებს, ტექსტუალურ და სოციოკულტურულ კავშირებს; განიხილავს დარგთაშორის მიმართებებს ესთეტიკური და ფილოსოფიური საფუძვლების გათვალისწინებით. შეძენილი ცოდნისა და კომპეტენციების საფუძველზე იკვლევს, აცნობიერებს და სასწავლო სამეცნიერო საზოგადოებას აცნობს ევროპული ლიტერატურის გავლენას ქართულ ლიტერატურულ პროცესებზე და მის მნიშვნელობას მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში. იტალიური ენისა და ლიტერატურის მოდული
--	---



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	6. ტექსტის ლინგვისტიკის, პრაგმატიკის, კოგნიტიური მეტაფორის კომპონენტების შესწავლის საფუძვლებზე განსაზღვრავს იტალიურენოვანი ტექსტის მახასიათებლებს, აღწერს ტექსტის ტიპოლოგიურ თვისებებს, ახასიათებს კომპონენტთა თავისებურებებს ლინგვისტურ და ექსტრალინგვისტურ კონტექსტში. ესპანური ენისა და ლიტერატურის მოდული 7. განსაზღვრავს, აღწერს და მიმოიხილავს ესპანური ენის ენათმეცნიერულ საკითხებთან დაკავშირებულ საკვანძო და აქტუალურ თემებსა და უახლეს პრობლემატიკას, კვლევის უახლეს მეთოდებსა და თანამედროვე მიდგომებს, ავლენს ღრმა და სისტემურ ცოდნას: ესპანური ენის პრაგმატიკის პრობლემატიკის ირგვლივ. 8. სტუდენტი ამოიცნობს და აანალიზებს ესპანურენოვან ლიტერატურულ მიმდინარეობებსა და სტილებს მათი მახასიათებლებითა და ავტორებით; აანალიზებს ესპანურენოვან ლიტერატურულ ტექსტებს როგორც ესპანეთის ისტორიულ ჭრილში, ასევე დასავლური ლიტერატურის ისტორიის კონტექსტში. უნარი: 9. ფრანგული/ესპანური/იტალიური ფილოლოგიის მაგისტრი პროგრამით მიღებული შესაბამისი ღრმა და სისტემური ცოდნის საფუძველზე ამოიცნობს და ფილოლოგიური კვლევების უახლესი მეთოდებისა და მიდგომების საფუძველზე გადაჭრის ზოგადად რომანული ფილოლოგიის და კერძოდ, ფრანგული/იტალიური/ესპანური ფილოლოგიის კომპლექსურ პრობლემებს, რომლებიც ეხება ენათმეცნიერების, ლიტერატურათმცოდნეობის და მთარგმნელობით საკითხებს. 10. ფრანგული/ესპანური/იტალიური ფილოლოგიის მაგისტრი დამოუკიდებლად მოიძიებს რელევანტურ სამეცნიერო ლიტერატურას; წყაროთა დამუშავების გზით სხვადასხვა პერსპექტივიდან ახდენს საკითხთა სინთეზს, ინტერპრეტაციასა და კონტექსტუალიზაციას. კრიტიკული ანალიზის შედეგად გამოაქვს რელევანტური დასკვნები და ახალი და ორიგინალური იდეების საფუძველზე ახორციელებს კვლევითი და ანალიტიკური ხასიათის პროექტს. ავლენს კომპარატივისტული და კონტრასტული კვლევის უნარს. 11. ფრანგული ფილოლოგიის მაგისტრი თარგმანმცოდნეობის ლინგვისტური და ლიტერატურულ თეორიული ცოდნის საფუძველზე თარგმნის მხატვრულ და სამეცნიერო ლიტერატურას, დარგობრივ დოკუმენტებს, დამოუკიდებლად წარმართავს ზეპირი და წერიტი თარგმნის პროცესს. 12. პროფესიულ და აკადემიურ საზოგადოებას წარუდგენს კვლევის შედეგებს საერთაშორისო აკადემიური სტანდარტების დაცვით. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:
--	---



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	13. ფრანგული/იტალიური/ ესპანური ფილოლოგიის მაგისტრი აცნობიერებს პროფესიულ და სოციალურ პასუხისმგებლობებს და იცავს სათანადო აკადემიურ ეთიკურ ნორმებს; 14. აფასებს კულტურულ განსხვავებებსა და მრავალფეროვნებას, რაც მას უვითარებს განსხვავებული კულტურისადმი პატივისცემას, ტოლერანტობის გრძნობას ინტერკულტურულ გარემოში. 15. აცნობიერებს სამაგისტრო საფეხურზე სწავლისა და კვლევის პროცესის თავისებურებებს, მათი თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასების საფუძველზე ადგენს შემდგომი სწავლის, კვლევისა და პროფესიული განვითარების საჭიროებებს. ხელს უწყობს სხვათა პროფესიულ განვითარებას; 16. დამოუკიდებლად წარმართავს სამეცნიერო და პროფესიულ საქმიანობას; პასუხისმგებლობას იღებს კვლევის ხარისხსა და შედეგებზე; 17. მართავს კომპლექსურ, არაპროგნოზირებად და ინტერდისციპლინურ გარემოს;
სწავლება-სწავლის მეთოდები	სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, სემინარის, ინდივიდუალური მუშაობის, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, თარგმანის, სამაგისტრო ნაშრომის (ან თარგმანის), დასკვნითი გამოცდის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (კრიტიკული მასალის სინთეზურად და ანალიტიკურად დამუშავების მეთოდი, თემატური მსჯელობისა და არგუმენტირების მეთოდი, ნაშრომის ზეპირი პრეზენტაციისთვის საჭირო ახსნა-განმარტებითი მეთოდი და სხვ.) უშუალოდ სამაგისტრო ნაშრომის კვლევისას იყენებს საერთაშორისო კონტექსტში აპრობირებულ თვისობრივ და რაოდენობრივ კვლევის მეთოდებს (მათ შორის კომპარატივისტულ, ტექსტუალურ, სოცილინგვისტურ და ა.შ.. მეთოდებს)
შეფასების სისტემა	პროგრამა განხორციელდება ლექცია-სემინარების, კონსულტაციების, წერიითი ნამუშევრების - ესე/რეფერატის წარდგენა/პრეზენტაციით, შუალედური წერიითი გამოცდა-კოლოკვიუმებით; ყოველი საგანი სრულდება წერიითი ან კომბინირებული გამოცდით, სასწავლო პროცესის დამასრულებელ ეტაპზე სტუდენტს ევალება შეასრულოს ანალიტიკური კვლევითი შრომა-სამაგისტრო ნაშრომი. შეფასების ზოგადი წესი: სტუდენტის ცოდნა ფასდება 100ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; შეფასებახორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. შეფასების კრიტერიუმები მოცემული იქნება კონკრეტულ სილაბუსებში შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას: (A) ფრიადი –შეფასების91-100 ქულა; (B) ძალიანკარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალურიშეფასების 51-60 ქულა;



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	არსებობს ორი უარყოფითი შეფასება: ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. პროგრამის სტუდენტთა დატვირთვა მოიცავს: ა) სამუშაო ჯგუფში მუშაობას, სასემინარო მეცადინეობას; ბ) დამოუკიდებელ მეცადინეობას; დ) გამოცდების მომზადება-ჩაბარებას; ე) სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომზე (რეფერატი, ესე, მოხსენება კონფერენციაზე, სამეცნიერო სტატია, სამაგისტრო ნაშრომი და სხვ.) მუშაობას; ვ) სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომის საჯარო წარდგენას. მაგისტრანტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებას და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს არანაკლებ ოთხ კომპონენტს. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი, ან კომბინირებული წერა/ზეპირი გამოცდა. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა მაგისტრანტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვებული აქვს მინიმუმ 21 ქულა. სტუდენტთა ცოდნის შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები სრულ შესაბამისობაშია როგორც მთლიანად პროგრამით, ისე მისი ცალკეული კომპონენტით/სასწავლო კურსით/ განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, შესაბამის დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) უნარებთან. სასწავლო კურსების შეფასების ფორმები და კრიტერიუმები მოცემულია სასწავლო კურსების შესაბამის სილაბუსებში. კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) ფასდება საჯარო დაცვაზე, სადაც მაგისტრანტი დაიშვება ნაშრომის წინასწარი დაცვის წარმატებით გავლის, სამეცნიერო ხელმძღვანელის სათანადო დასკვნისა და სამაგისტრო ნაშრომის Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით გატარების შემდეგ. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების მნიშვნელოვანი ნაწილია დარგის სპეციალისტის რეცენზია (მაქს. 60 ქულიდან მინიმუმ 31 ქულის მიღების გარეშე საჯარო დაცვაზე მაგისტრანტი პრეზენტაციით ვერ წარსდგება) და მაგისტრანტის მიერ კვლევის შედეგების ზეპირი პრეზენტაცია დაცვის კომისიის წინაშე (მაქს. 40 ქულიდან მინიმუმ 20 ქულის მიღება აუცილებელია). სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასება წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისიის შეფასების ჯამს. სამაგისტრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და მაგისტრანტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება, თუ მის მიერ მიღებული საბოლოო შეფასება 51 ან მეტი ქულის ტოლია.
--	--



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია. სწავლების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სტუდენტთან უკუკავშირს, მათ დროულ და დეტალურ ინფორმირებას შუალედური შეფასების შედეგების შესახებ, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს, სწავლის პროცესში უკეთ გაიაზროს თავისი შეცდომები, სუსტი მხარეები და იზრუნოს თავის პროფესიულ განვითარებაზე.
დასაქმების სფეროები	აღნიშნული დარგობრივი ცოდნით, მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარით და ზოგად ტრანსფერული უნარებით თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული ფრანგული/ესპანური/იტალიური ფილოლოგიის მაგისტრი მზადდება, როგორც ფართო პროფილის სპეციალისტი რომანული ფილოლოგიის დარგში, რომელიც თვისი პროფილის მიხედვით შესაძლებელია დასაქმდეს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და უმაღლეს სასწავლებლებში; აგრეთვე, სახელმწიფო და საზოგადოებრივ სტრუქტურებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, გამომცემლობებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სისტემებში, ბიბლიოთეკებში, მუზეუმებში, ტურისტულ ფირმებში, სხვადასხვა კომპანიებში ყველა იმ თანამდებობაზე, რომელიც გათვალისწინებულ იქნება მაგისტრის ხარისხის მქონე სპეციალისტათვის; ამავდროულად, ზემოაღნიშნულ დაწესებულებებში მაგისტრის ხარისხი სტუდენტებს კარიერული წინსვლის შესაძლებლობას აძლევს. ფრანგული/ესპანური/იტალიური ფილოლოგიის მაგისტრი შესაძლებელია აგრეთვე თავისი პროფილით დასაქმდეს პედაგოგიურ სექტორში (მასწავლებლის სასერთიფიკაციო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში); ასევე თარჯიმნებად, რისი მოთხოვნილებაც დღევანდელი საქართველოს შრომით ბაზარზე არსებობს.
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისთვის	უმაღლესი განათლების სამაგისტრო საფეხურის სწავლის წლიური საფასური საქართველოს მოქალაქე სტუდენტებისთვის შეადგენს 2250 ლარს. უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისთვის უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე სწავლის წლიურ საფასურს ადგენს უნივერსიტეტი, ფაკულტეტი ან პროგრამა.
პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური კადრებით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ კომპონენტებს უძღვება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული პერსონალი. 1. ბელა ხაბეიშვილი, ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი; 2. ილია გასვიანი, ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი; 3. ნინო ქავთარაძე, ასისტენტ-პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი. 4. თეა თათეშვილი, ასისტენტ-პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი. 5. ციური ახვლედიანი, პროფესორ-ემერიტუსი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. 6. მარინე კობეშაძე, ასოცირებული პროფესორი;



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	7. მაია ჯავახიძე, ასოცირებული პროფესორი; 8. სალომე კენჭოშვილი, ასისტენტ-პროფესორი; 9. ნინო ჭრიკიშვილი, ასისტენტ-პროფესორი; 10. გიორგი ეკიზაშვილი, მოწვეული მასწავლებელი; 11. მაია ბენიძე, ფილოლოგიის დოქტორი, მოწვეული მასწავლებელი; 12. ნინო ჯოხაძე, ფილოლოგიის დოქტორი, მოწვეული მასწავლებელი; რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის/ რომანული ფილოლოგიის დეპარტამენტის ბაზაზე (მისამართი: ი.ჭავჭავაძის გამზ. N 36, თსუ მეხუთე კორპუსი), რომელიც აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, რაც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მეთოდების, უახლესი ქართულენოვანი და უცხოურენოვანი სახელმძღვანელოების გამოყენებით სწავლებას და, შესაბამისად, სწავლის შედეგების მიღწევას. რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთათვის ხელმისაწვდომია როგორც თსუ ცენტრალური, ისე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკები, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის კომპიუტერული რესურს-ცენტრები, ფრანგული ინსტიტუტის მედიათეკა. ასევე ესპანური და იტალიური ფილოლოგიის მიმართულებების მცირე წიგნადი ფონდი; რომანული ფილოლოგიის დეპარტამენტი აღჭურვილია სასწავლო აუდიო-ვიდეო საშუალებებით (ტელევიზორი, აუდიო და ვიდეოკასეტები, პერსონალური კომპიუტერი, კომპაქტ-დისკები); საფრანგეთის საელჩოდან იღებს სასწავლო პროცესის მოთხოვნილებების გათვალისწინებით, სახელმძღვანელოებსა და სამეცნიერო-პერიოდულ გამოცემებს. საქართველოში მოქმედი საფრანგეთის, იტალიისა და ესპანეთის საელჩოები გახსნის დღიდან თანამშრომლობენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რომანული ფილოლოგიის დეპარტამენტთან და სხვადასხვა ფორმით გამოხატავენ მხარდაჭერას.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	სამაგისტრო ნაშრომთა სამეცნიერო თემატიკა შეირჩევა თანამედროვე ლინგვისტური და ლიტერატურული კვლევის ისეთი სფეროებიდან, როგორიცაა : 1) ენათმეცნიერების დარგში კვლევის სფეროები: • ტექსტის ლინგვისტიკა; • სემანტიკა; • პრაგმატიკა;



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	• სტილისტიკა; • სოციოლინგვისტიკა; • ფსიქოლინგვისტიკა; • ენის სწავლების თანამედროვე მეთოდები; • ფონოლოგია. • თარგმანმცოდნეობა 2)ლიტერატურის ისტორიისა და ლიტერატურათმცოდნეობით დარგში კვლევის სფეროები: • ჟანრების თეორიული კლასიფიკაცია; • ფრანგული/ესპანური/იტალიური რომანის პოეტიკა. • სიტუაცია და დიალოგის მეტამორფოზა თანამედროვე ფრანგულ დრამატურგიაში. • ლიტერატურის ისტორიისადმი სოციოლოგიური მიდგომა. • ავტორი, მკითხველი, ტექსტი; • თანამედროვე პოეზია, როგორც ენის ხელოვნება; • ფრანგული/ესპანური/იტალიური პოეტური ტექსტის ანალიზი; • ლიტერატურა და მხატვრობა; • ფსიქოანალიტიკური კვლევა: ფროიდი და ლიტერატურა; • ლიტერატურული მითების კვლევა.
--	--